ხელშეკრულება NII-1/52

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრების დაცვით)

ქ. თბილისი **22 მარტი 2023წ.**

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, წარმოდგენილი მუზეუმთა ჯგუფის (შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნული გალერეისა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის) დირექტორი/გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის **ნიკა ახალბედაშვილის** სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, შპს ,,**გორგია**'' (შედგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის **თამარ ჯავახიშვილის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის საკუთარი სახსრებიდან (**3306020102**) , სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმისთვის შემდეგი საქონლის (**CPV44512910**-ბურღები-**79.90** ლარი CPV 44511000-ხელის ხელსაწყოები **128.90** ლარი)შესყიდვა. (საფუძველი: სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის დირექტორის მოადგილის ხელოვნების მუზეუმის საგანძურის კურატორის გია მარსაგიშვილის 2023 წლის 14 მარტის N832 მოხსენებითი ბარათი).

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ.ამირანაშვილის სახ ხელოვნების მუზუმში განთავსებული ექსპონატების ევაკუციასა და ახალ სივრცეში დაბინავებასთან დაკავშირებით შემდეგი საქონლის შესყიდვა:

#	საქონლის დასახელება	განზომილება	CPV	რაოდენობა	ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით	სულ თანხა
1	სახვრეტელა დარტყმითი	ცალი	44512910	1	79,90	79,90
2	კუთხლივ სახეხი ხელსაწყო ,,ბარგალკა''12mm სიჩქარის მარეგულირებელი	ცალი	44511000	1	128,90	128,90
სულ ჯამი:						208.80

2.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მთლიანი ღირებულება შეადგენს **208.80 (ორასრვა ლარი და 80 თეთრი)ლარს.**

2.3. ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათავალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა და ადგილი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების ვადა: 2023 წლის 14 აპრილის ჩათვლით.

3.2. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი,წერეთლის N140.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემოწმებით თუ მოწოდებული საქონელი აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას, მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული შტამპის ან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით უნდა დაამოწმონ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილმა პირებმა.

4.2. საქონელი ჩაითვლება სრულად შესყიდულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.3. მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი - სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის ადმინისტრაციის განყოფილების მატერიალური მიმართულების სპეციალისტი - **ირინე კუპრაშვილი.**

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. საქონლის შესყიდვის ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება ფაქტიურად მოწოდებულ საქონელზე წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედნადების და ორმხრივად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

5.2. ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

6.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

6.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის შესახებ.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. გადაიხადოს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

6.2.2. მოწოდებული საქონლის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა;

6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. მოაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

6.4.2. მოწოდებული საქონლის ნაკლოვანების შემთხვევაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება;

6.4.3. წინასწარ აცნობოს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

6.4.4. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე და ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მას შეიძლება მიადგეს უხარისხო ან საქონლის მოწოდების გამო.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების <u>საერთო ღირებულების 0.02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.</u>

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს საქონლის მოწოდების ვალდებულებისაგან.

7.4. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს საანგარიშსწორებო პერიოდისათვის მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 3%-ს შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

8.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და არსებული სტანდარტების მოთხოვნებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე ადგენს აქტს შესაბამისი წესის შესაბამისად.

8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. არავითარი გადახდა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 მაისის ჩათვლით.

11.2. მიმწოდებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე მაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

11.3. ხელშეკრულებით ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მოწოდებული საქონლის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება და დავა.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს.

13. დასკვნითი დებულებანი

13.1. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ადასტურებს, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკლმაყოფილებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მისი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს;

13.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.3. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.4. მესამე პირთან ურთიერთობაზე მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯითა და რისკით.
13.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი, დამოწმებული/დადასტურებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, წარმოადგენს ორიგინალს.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #3
ტელ: 298 21 35
საიდენტ: 204468664
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა 708467342

„მიმწოდებელი“

შპს ,,გორგია''
მის: თბილისი, წერეთლის N140
ტელ: 591 50 24 65
ელ/ფოსტა: sip@gorgia.ge
ს/კ 245621288
სს ,,თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/აGE 62TB 1007536020100008

ნიკა ახალბედაშვილი
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე

თამარ ჯავახიშვილი
დირექტორის მინდობილი პირი

LEPL Georgian National Museum
Digitally signed by LEPL Georgian National Museum
Date: 2023.03.22 14:12:41 +04'00'

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები

Tamar Javakhishvili 01011096225
Digitally signed by Tamar Javakhishvili
Date: 2023.03.22 15:10:05